პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 38 (1674) ○ სამშაბათი, 28 მარტი, 1961 წ. ○ ფასი 3 კაპ.

მიმდინარე წელს საბჭოთა სპორტსმენებს მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებასა და ოფიციალურ ჩემპიონატში მოუწევთ მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ წელს მოზრდილებთან ერთად შეჯიბრებებში ჩაებმებიან მოზარდებიც. პირველი მოზარდთა მსოფლიო პირველობა გაიმართება აპრილის პირველ რიცხვებში. ამჯერად, მოფარიკავეები შეხვდებიან ერთმანეთს.

ეს სურათი ჩვენმა მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. ტუტოვმა მაშინ გადაიღო, როდესაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები ემზადებოდა ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისათვის.

„ბ“ კლასში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა „ბ“ კლასის ზონების შემადგენლობა. მოგვიანებით მოკავშირე რესპუბლიკათა ზონების სია, სადაც თამაშობენ საქართველოს გუნდებიც.

I ზონა

„ლოკომოტივი“ (თბილისი), „შირაქი“ (ლენინაკანი), „პიშჩევიკი“ (ტირასპოლი), ქ. ბობრუისკის გუნდი, „ლორი“ (კიროვაკანი), „რიწა“ (სოხუმი), „დინამო“ (ბათუმი), „სელმაში“ (ლიეპაია), „ლოკომოტივი“ (გომელი), „რეზ-ი (რიგა), „ბანგა“ (კაუნასი), „კრასნოე ზნამია“ (ვიტებსკი), „ხიმიკი“ (ბოგილოიკი), „ნისტრული“ (ბენდერი), „სპარტაკი“ (ბრესტი), „სკფ (ტალინი).

II ზონა

„ტორპედო“ (ქუთაისი), „პამირი“ (ლენინაბადი), „სპარტაკი“ (ბაქო), „მეტალურგი“ (რუსთავი), „ალგა“ (ფრუნზე), „ენერგეტიკი“ (სტალინაბადი), „ტემპი“ (სუმგაითი), „ნაირი“ (ერევანი), „სტარტი“ (ტაშკენტი), „ტექსტილშჩიკი“ (კიროვაბადი), „კოპეტ-დაგი“ (აშხაბადი), „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ენბეკი“ (ჯამბული), „სპარტაკი“ (ფერგანა), „ენბეკი“ (ჩიმკენტი), „დინამო“ (ყამარგანდი).

საქართველო-რუმინეთი 4,5—3,5

გასულ კვირას ბუქარესტში, „დინამოს“ სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოსა და რუმინეთის სპორტსმენთა ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. რუმინეთის გუნდი, ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია ევროპაში, მის შემადგენლობაში არიან საკმაოდ გამოცდილი და ტექნიკური მოჭიდავეები — ოლიმპიური ჩემპიონი დ. პერვულესკუ, რომის ოლიმპიადის პრიზიორები — ი. ჩერნეა, ი. ტარანუ, მ. შულცი, დ. გეორგე, მსოფლიო პირველობის პრიზიორი ვ. ბულარკა და სხვები.

ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის სპორტსმენები. ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. პირვულესკუმ მინიმალური უპირატესობით მოუგო შეხვედრა საქართველოს გუნდის წევრს შეყრილაძეს. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მჩატე წონის მოჭიდავეების ო. ეგაძის და ი. ჩერნეას შეხვედრა, რომელშიც გადამწყვეტ უპირატესობას ვერცერომა მხარემ ვერ მიაღწია — ფრე. ქვემსუ-უქ წონაში მ. შულცმა ქულებით მოუგო შ. სეფაშვილს.

შეჯიბრება დაიწყო მასპინძლებისათვის ხელსაყრელ პირობებში — მათ წაიყვანეს ანგარიში—2,5:0,5. პირველი გამარჯვება საქართველოს გუნდისათვის მოაქვს მ. ღუდუშაურს. იგი აგრესულ სტილში ამარცხებს დ. გეორგეს. ქვესაშუალო წონაში ოლიმპიური ჩემპიონის ა. ქორიძისა და ვ. ბულარკას შეხვედრა პირველის გამარჯვებით მთავრდება. საშუალო წონაში თვეელოს გუნდის წევრს ბ. ბაბაშიძეს ეგვანცელაძისა და ი. ტარანუს ორთაბრძოლა. მინიმალური უპირატესობით წარმატებას მიაღწია რუმინელმა სპორტსმენმა. მომდევნო ორ წონით კატეგორიაში გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს მოჭიდავეებმა ი. გველესიანმა და რ. აბაშიძემ. მათ ქულებით დაამარცხეს ი. პოპოვიჩი და უ. მარტინესკუ. ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრების შედეგია—4,5:3,5 საქართველოს მოჭიდავეთა სასარგებლოდ.

გუშინ ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა რუმინეთის სპორტული გაზეთის „სპორტულ პოპულარის“ რედაქციას, რომელმაც გვაცნობა შემდეგი: საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბუქარესტის სპორტულ წრეებში. „დინამოს“ სპორტული დარბაზი, რომელიც არც თუ ისე ბევრ მაყურებელს იტევს, გაჭედილი იყო ჭიდაობის მოყვარულებით. შეხვედრის საბოლოო შედეგით ჩვენი მწვრთნელები კმაყოფილნი არიან. მათი აზრით ძალთა თანაფარდობა რუმინელთათვის უარესი იქნებოდა, გვანცელაძე თავის წონაში რომ გამოსულიყო (როგორც ცნობილია, ღუდუშაური, ქორიძე, გვანცელაძე და აბაშიძე გუნდის ინტერესებისათვის ერთი წონითი კატეგორიით მაღლა გამოდიოდნენ).

სპეციალისტების აზრით ყველაზე საინტერესო და დაძაბული ბრძოლა მძიმე წონის მოჭიდავეთა აბაშიძე-მარტინესკუს შეხვედრაში იყო. საქართველოს გუნდში საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ქორიძემ.

მ. ბოტვინიკი ლიდერობს მატჩს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოკლედ იყო აღნიშნული, რომ ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანშის V პარტიის დამთავრება შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 73-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. როგორ მოხდა ეს?

როგორც ცნობილია, გადადებულ პარტიაში ბოტვინიკს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ხოლო ტალს ფიგურების აქტიური განლაგება. შანსები თანაბარი იყო, მაგრამ ზედმეტი პაიკი მაინც ძალაა და ბუნებრივია, ბოტვინიკი შეეცდებოდა მოგებაზე თამაშს. გაკეთდა პირველი სვლები, გაიცვალა თითო ეტლი და ბოტვინიკი სახიფათოდ შეიჭრა ეტლით ტალის ბანაკში. ამასობაში მსოფლიო ჩემპიონი დაერია ლაზიერის ფრთის პაიკებს და შესამჩნევად შეავიწროვა ბოტვინიკის მეფე. ბოტვინიკმა იწვიათი სიზუსტით უვნებელჰყო მოსალოდნელი ხიფათი და ორი პაიკიც მოიგო. მაგრამ ეს უპირატესობა ტალის ფიგურათა აქტიობის გამო ნაკლებად იგრძნობოდა. ამასობაში შემცირდა საბრძოლო ძალები და ტალმა მხედრის დათმობით შექმნა საყაიმო პოზიცია. ბოტვინიკი შეურიგდა ამ შედეგს.

გუშინ, გაიმართა VI პარტია.

მოწინააღმდეგეებმა კვლავ კაროკანის დაცვა გაითამაშეს. ტალი აქტიურად თამაშობდა, მაგრამ ბოტვინიკმა შეძლო აუღებელი პოზიციის აგება. 25-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა პოზიციის სამჯერ გამეორების გამო.

VI პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 3,5:2,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. ხვალ 29 მარტს შედგება VII პარტია.

◆

ჩემპიონები ჰყრიან ფარ-ხმალს

საქართველოს 1961 წლის სამადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის

ჩემპიონებს არ უყვართ წაგება. მაგრამ იქ, სადაც უმრავლესობა ჩემპიონია დამარცხებას გვერდს ვერ აუვლი. განვლილ სამ ტურში აჭარის ნორჩმა ჩემპიონმა ტატარინოვამ და თბილისის ჩემპიონმა ნაჭყებიამ ზედიზედ ორ-ორ ჯერ, ქალთა შორის, როგორც სწრაფდაშვებაში (1925 მ) ისე გიგანტურ სლალომში (1475 მ) პირველი იყო ა. არტიომენკო (ყაზახეთი). მან შესაბამისად აჩვენა — 2:15,8 და 2,06,5. ვერცხლის მედალი ორივე სახეობაში დაისაკუთრა ს. კორუნინამ (რსფსრ-I). სწრაფდაშვებაში მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ე. კაბინა. გიგანტურ სლალომში — მისი თანაგუნდელი თ. სიდოროვა.

ახალი ჩემპიონები

დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა გაიმართა ბაკურიანში. გასულ კვირას გაიმართა ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. ჩატეს წონაში ლენინგრადელმა ვ. სტოლნიკოვმა დაამარცხა თავისი თანამოქალაქე მ. რუშანსკი და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. მჩატე წონაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ს. სივკოს (მოსკოვი) უპირატესობით აღინიშნა ფინალური ბრძოლა თანაგუნდელ ვ. ჩერნოვთან.

ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ბელორუსელი მოკრივე ა. ზასუხინი. ლამაზ სტილში ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრა ლენინგრადელმა მ. კაკოშკინმა ფიზიკურად ძლიერ ა. ლაგუტკოს წინააღმდეგ. გამარჯვება და პირველი ადგილი მიეკუთვნა მ. კაკოშკინს.

პირველ ქვესაშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ გამოცდილი ლატვიელი ოსტატი ა. ტუმინში და ახალგაზრდა მოკრივე მ. ჟურნავეი. ტუმინში სამი რაუნდის მანძილზე მოქმედებდა უფრო გეგმიანად, ტექნიკურად. მისი შეტევები როგორც წესი მეტწილად სასურველ მიზანს აღწევდა. გამარჯვება და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ტუმინშმა.

მეტად საინტერესოდ წარიმართა ორი ტექნიკური მოკრივის (მეორე ქვესაშუალო წონა) რ. ტამულისის და ლ. შეინკმანის ფინალური ბრძოლა. ამ შეხვედრაში იყო ყველაფერი —ოსტატური დაცვა, კონტრშეტევა, ძლიერი დარტყმები. გაიმარჯვა ტამულისმა, რომელიც უფრო მეტს მოძრაობდა რინგზე და გონივრულად ატარებდა შეტევებს.

პირველ საშუალო წონაში ბ. ლაგუტინისა და ი. ბუდმანის ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ლაგუტინი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მეორე საშუალო წონაში ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ვ. პოპენჩენკომ, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა ა. კოროლევი.

ქვემძიმე წონით კატეგორიაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ი. პიჩკოვმა, ხოლო მძიმე წონაში — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ა. აბრამოვმა, ხოლო სოხუმელმა დიატლოვამ სამჯერ დაჰყარეს ფარ-ხმალი.

შესამჩნევია, რომ გაიზარდა საქართველოს ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა რიცხვი. ეს სასიამოვნოა. გაფრინდაშვილი კვლავ ენერგიულად იბრძვის „ტახტის“ შესანარჩუნებლად. მან მესამე ტურში დამარცხა ქუთაისელი მოჭადრაკე გედენიძე. მაგრამ არც მის მეტოქეებს დაუკლიათ მონდომება. ჩაიკოვსკაიამ მძაფრ შერკინებაში სძლია ნაჭყებიას, ხუგაშვილმა — ნამორაძეს, ხოლო ივანოვამ — დიატლოვას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონატში დაბალია ყაიმების პროცენტი. კარგია თუ არა ეს? ნამდვილად კარგია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ რომ ზოგიერთი მონაწილე თავისი ძალით არ შეეფერება ესოდენ ძლიერ ტურნირს.

გუშინ, 27 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა IV ტური, რომელშიც გაფრინდაშვილმა მოუგო კალანდარიშვილს, ჩაიკოვსკაიამ — გედენიძეს, გოგიავამ—შათირიშვილს, ფანქველაშვილმა — დიატლოვას, ბუცხრიკიძემ — ტატარინოვას. ყაიმით დამთავრდა მანველოვა-ღლონტის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

IV ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილსა და ა. ჩაიკოვსკაიას აქვთ 4-4 ქულა.

ჩიმბულაკის სამთო ტრასაზე

ალმა-ათა. (ტელეფონით). ჩიმბულაკის მაღალ მთიან რაიონში დამთავრდა სამთო მოთხილამურეთა საკავშირო პირველობა. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები. ჩემპიონატი დაიწყო ვაჟთა სწრაფდაშვებით. 2.275-მეტრიან ტრასის ნახევარზე ყველაზე კარგი შედეგი 1.03,2 ჰქონდა მოსკოველ ვ. ტალიანოვს, მაგრამ შემდეგ მას მარცხი მოუვიდა — თხილამურები დაუზიანდა და იძულებული გახდა დისტანცია ცალი ფეხით დაემთავრებინა. ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ა. ფილატოვმა — 2.01,7. გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ს. შუსტოვი. რსფსრ-ს პირველი გუნდის წევრებმა ვ. მელნიკოვმა და გ. ჩერტიშევმა ერთნაირი შედეგით — 2.04,8 გაიყვეს მესამე აღგილი.

მეორე მედალი ა. ფილატოვმა მოიპოვა გიგანტურ სლალომში, როცა ა. ნაზაროვის (რსფსრ-2) შემდეგ დაამთავრა დისტანცია, აჩვენა 2.09,3, 0,5 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს და მეორე ადგილი დაიკავა. აქ მესამე იყო ვ. ტალიანოვი.

სპორტკავშირების კონფერენციები

ქობულეთი

მას შემდეგ, რაც დაარსდა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოები, ქობულეთის რაიონის სპორტსმენებმა მთელ რიგ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. რაიონში გადაჭარბებით შესრულდა 1959-60 წლების სპორტსმენ-თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები. აჭარის საიუბილეო სპარტაკიადაზე ქობულეთელმა სპორტსმენებმა საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

სპორტკავშირის II კონფერენციაზე მომხსენებელი ი. მჟავანაძე შეჩერდა ნაკლოვანებებზეც. მან აღნიშნა, რომ რაიონის ჩაის ფაბრიკებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამკურნალო დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებსაც არასაკმაო დახმარებას უწევენ აჭარის „განთიადისა“ და „სპარტაკის“ საოლქო საბჭოები. სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა: გ. ფირცხალაიშვილმა (ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინსტრუქტორი), სპორტის ოსტატმა ჯ. მანელიშვილმა (ბობოყვათის კოლმეურნეობა), სპორტის ოსტატმა დ. ბაჯელიძემ (სტადიონის დირექტორი), კომკავშირის რაიკომის მდივანმა გ. მეგრელიძემ და სხვებმა წარმატებებთან ერთად ილაპარაკეს ნაკლოვანებებზეც.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აჭარის „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩხარტიშვილმა, რომელმაც ფიზკულტურასა და სპორტში კარგი მაჩვენებლების მოპოვებისათვის რაიონს გადასცა საქართველოსა და აჭარის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საპატიო ვიმპელი.

ქობულეთელმა სპორტსმენებმა კონფერენციაზე აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბათუმის რაიონის სპორტსმენები. მათ იკისრეს:

მშთ I საფეხურზე მოამზადონ 190 კაცი, მშთ II საფეხურზე — 650, მოზარდთა თანრიგზე — 140, III თანრიგზე — 155, II თანრიგზე — 42, პირველ თანრიგზე — 7 და ერთი სპორტის ოსტატი, 30 მსაჯი, 60 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 30 ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე, ფიზკულტურელთა რიცხვი გაზარდონ 11.000-მდე და მოაწყონ მარტივი ტიპის 20-მდე მოედანი.

უ. ტრაპაიძე

◆

ქედა

ქედის რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის II კონფერენციამ მოისმინა შ. კოღურაძის მოხსენება

★

გაზაფხულდა. რესპუბლიკის ყოველ კუთხეში დიდი გამოცოცხლებაა. მომავალი შეჯიბრებებისათვის ვარჯიშს შეუდგნენ მძლეოსნები, ველოსიპედისტები, საწყლოსნო სპორტის მოყვარულები და სხვ.

* * *

სურათზე: სოხუმის ახალგაზრდული სპორტსკოლის მოსწავლეები ბაიდარით ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. სემიონოვისა.



★

განვლილი მუშაობისა და ახალი ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქედელებმა, რომლებიც წინა წლებში ჩამორჩებოდნენ, საგრძნობლად გარდაქმნეს მუშაობა და მიაღწიეს იმას, რომ აჭარის საიუბილეო სპარტაკიადაზე კომპლექსურ ჩათვლაში ქობულეთელთა შემდეგ საერთო გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს. ამ წარმატებას ხელი შეუწყო სპორტულ ბაზების გაფართოებამ, სექციების რეგულარულმა მუშაობამ. რაიონში დასასრულს უახლოვდება ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა, შეიქმნა ფიზკულტურის ახალი კოლექტივები და სხვ.

მაგრამ არის ნაკლოვანებანიც. ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში სპორტის მოყვარული ახალგაზრდები ბაზების, ინვენტარის სიმცირისა და უქონლობის გამო მოკლებული არიან ნორმალურ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობის საშუალებას, ხოლო ადგილობრივი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ ამ ხარვეზების დასაძლევად.

კამათში გამოსულებმა ი. გოგიტიძემ, თ. დარასელიამ, რ. გოგიაშვილმა, ვ. ჭაჯაიამ, ნ. ბერიძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ბაზების მშენებლობის, სპორტის ცალკეულ სახეობათა განვითარების საქმეში.

კონფერენციამ აირჩია საბჭოს, პრეზიდიუმის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და დასახა ღონისძიება მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ბაზა მზად არ იყო



გორში ორ დღეს გრძელდებოდა საიუბილეო სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება მძლეოსნობაში, ამ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის გუნდები უნდა გამოეყვანა რაიონულ შეხვედრებში გამარჯვებულ გორის, ბორჯომის, ხაშურის, კასპის, ახალქალაქის, ახალციხის, ქარელის, ადიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონებს. გუნდის მონაწილეთა 50 პროცენტი უნდა ყოფილიყვნენ მოსწავლეები, დაბადებულნი 1946 წელს.

პროგრამა ითვალისწინებდა ვაჟებისათვის 13 და ქალებისათვის 10 სახეობას, ამასთან საგალდებულო გუნდურ ჩათვლაში შედიოდა ვაჟთა 12 და ქალთა 8 სახეობა და მესამე თანრიგის ნორმატივი განურჩევლად ასაკისა. ეს უკანასკნელი ჩვენს აზრით არასწორია, ვინაიდან 15 წლის ბავშვებს ყოველთვის როდი შეუძლიათ შეასრულონ მესამე თანრიგის ნორმატივი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე სულ ოთხმა რაიონმა (ბორჯომი, ქარელი, ასპინძა, ახალქალაქი) შეძლო მონაწილეობის მიღება და მათგან მხოლოდ ბორჯომი და ქარელი გამოვიდა სრული გუნდებით.

შეჯიბრების შედეგებმა ცხადყო, რომ ბევრ რაიონში არაფერი გაუკეთებიათ მძლეოსნობის განვითარებისათვის. ფაქტებისათვის შორს წასვლა როდი დაგვჭირდება, პროგრამის 10 სახეობაში მხოლოდ 7-მა სპორტსმენმა აჩვენა მესამე თანრიგი: ა. ლოლაძემ (ასპინძა)— 100 მ რბენაში — 11,9 წ; ბორჯომელმა ა. ოგანეზოვმა სიმაღლეზე ხტომაში — 170 სმ და სიგრძეზე ხტომაში — 6,20 მ, მისმა თანაგუნდელმა დ. სალარიძემ სიმაღლეზე ხტომაში — 165 სმ და სიგრძეზე ხტომაში — 5,30 მ, პ. ფილიევმა (ბორჯომი) ბირთვის კვრაში— 11,40 მ და შუბის ტყორცნაში — 49,67 მ, ა. პიშნიმ (ბორჯომი) სიგრძეზე ხტომაში 5,82 მ, ე. ბერძენიძემ ბირთვის კვრაში — 11,10 მ, და ი. ფოცხვერაშვილმა ბადროს ტყორცნაში — 35,40 მ (ორივე ასპინძიდან). ამასთან ყველა ეს შედეგი ნაჩვენებია მხოლოდ ვაჟთა შეჯიბრებაში. ქალთაგან ამ ნორმატივის შედეგი არავის უჩვენებია.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბორჯომელმა მძლეოსნებმა, რომელთა გუნდი თითქმის მთლიანად რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. მათ მოაგროვეს 2995 ქულა, მაშინ, როცა ასპინძელებმა 1585 ქულით დაიკავეს მეორე ადგილი. ქარელისა და ახალქალაქის გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს.

ყველაფერი წესრიგში არც სტადიონზე იყო. იმის გამო, რომ გორში არ აღმოჩნდა ურო, შუბი ქალებისათვის, ჭოკი და თარჯები, შეჯიბრება ამ სახეობებში არ ჩატარებულა (თარჯრბენი პროგრამის თანახმად სავალდებულო იყო ყველა გუნდისათვის). სტადიონზე არ აქვთ სიმაღლეზე ხტომის ნორმალური თამასა, ბადრო ქალებისათვის და სხვ. ყველაფერმა ამან თავისებური გავლენა იქონია მონაწილეთა შედეგებზე.

მძლეოსანთა პირველმა სტარტებმა ნათლად დაგვანახა, რომ რესპუბლიკის რაიონების უმეტესობაში კვლავ ჩამორჩება სპორტის ეს სახეობა და მისი განვითარების თითქმის არავითარი პერსპექტივა არ ჩანს, რაც სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკა განიცდის საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენალთა განსაკუთრებულ სიმცირეს.

ვ. ვაშაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

✦

საჭიროა მეტი გულისხმიერება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადა — რა უნდა იყოს უფრო საპასუხისმგებელი და საამაყო, ვიდრე ამ ღონისძიების მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება? — ვფიქრობთ — არაფერი, მაგრამ ასე როდი ფიქრობენ ყველგან.

მესამე ზონის მოჭიდავეთა გუნდებს შორის შეჯიბრების ჩატარების ორგანიზატორებმა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ამ ღონისძიების შინაარსი, შნო და ლაზათი არარაობამდე დაიყვანეს. შეჯიბრება არ იყო აფიშირებული და ღონისძიების ჩატარების შესახებ მხოლოდ მონაწილეებმა და მსაჯებმა იცოდნენ.

ეს ფაქტი თავისთავად სამწუხაროა, მაგრამ ადვილად ასატანია იმ კურიოზულ მდგომარეობასთან შედარებით, რაც შემდეგში გამოისახა.

კვირას, 12 მარტს საღამოს 5-6 საათისათვის ონიდან, ამბროლაურიდან და ტყიბულიდან (წყალტუბოს გუნდი დილით ჩამოვიდა), ქუთაისში ჩამოსულ მოჭიდავეებს არასასიამოვნო სიურპრიზი დაახვედრეს. — აწონვა მოასწარით, თორემ 7 საათზე შეჯიბრება იწყებაო. მგზავრობით გადაღლილმა მოჭიდავეებმა ჩანთები ნაცნობებს მიაბარეს და უპმელ-უსმელები ასაწონად გაეშურნენ.

7 საათზე დაიწყო მოჭიდავეთა შეჯიბრება. ჰიდაობა მიმდინარეობდა ორ ხალიჩაზე, რომელთა შუა აღმართული სვეტი მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა მოჭიდავეთათვის.

საერთოდ, შეჯიბრების დროს ტრავმისაგან დაზღვეული არავინაა, ამ შეჯიბრებას კი ექიმიც არ ესწრებოდა და პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებას მთავარი მსაჯის დ. ჩაჩანიძის წინ დაწყობილი ბამბა და იოდი წარმოადგენდა..

საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ისედაც მგზავრობით მოქანცულ მოჭიდავეებს 3-4 შეხვედრა ჩაატარებინეს, რომ შეჯიბრება იმავე დღეს დაემთავრებინათ. ღონისძიებას რესპუბლიკური კი არა, ქუთაისის სპორტკავშირის წარმომადგენელიც კი არ ესწრებოდა.

რაც შეეხება რაიონებიდან ჩამოსული გუნდების ხელმძღვანელებს, მათ სერიოზული საზრუნავი ჰქონდათ — მოჭიდავეებს სასტუმროში ადგილები არ გამოუყვეს და ისინი თავიანთი სპორტსმენებისათვის ღამის გასათევი ადგილის საძებნელად ნათესავებსა და ნაცნობებში დარბოდნენ.

როგორი უნდა ყოფილიყო ამ ღონისძიების ხარისხი? მდარე, ერთობ მდარე, ვინაიდან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შუამავალ მსაჯებს ბოლომდე არ დაუტოვებიათ სარბიელი. 4 საათის განმავლობაში ერთ ადგილზე ტრიალს კი სრულფასოვანი მსაჯობის მოტანა არ შეუძლია.

რაც შეეხება თვით მონაწილე გუნდებს, მათ ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ. მათ შორის ყველაზე უკეთ მომზადებული წყალტუბოს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა გუნდი (მწვრთნელი ჯ. ფხაკაძე) აღმოჩნდა, რომელმაც პირველი ადგილი და ფინალში გასვლის უფლება მოიპოვა. მეორე ადგილზე არიან ონის, ხოლო მესამეზე — ამბროლაურის მოჭიდავეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ჯ. გობეჯიშვილი (ონი), თ. უგლავა (წყალტუბო), ჯ. დოქსოპულო (ამბროლაური), ვ. გაგნიძე (ონი), გ. საროშვილი, ვ. გვიმრაძე, შ. ცანავა (სამივე წყალტუბოდან) და ი. საღარაძე (ამბროლაური).

გ. სამსონაძე

✦

საგარეჯოელთა გამარჯვება

წითელწყაროში გაიმართა რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ საგარეჯოს, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და სიღნაღის გუნდები.

პირველი ადგილი მოიპოვეს საგარეჯოს მოჭიდავეებმა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს წითელწყაროს სპორტსმენები. საგარეჯოს გუნდი შეჯიბრებაში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მ. არჩუაძე, ზ. ბასილაშვილი, უ. კევლიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ო. ქვლივიძე, ო. გულისაშვილი, რ. ნინოშვილი, ვ. ქაიხოსროშვილი. მომდევნო ადგილები დაიკავეს წითელწყაროს და ლაგოდეხის გუნდებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მ. არჩუაძე, ზ. ბასილაშვილი, უ. კევლიშვილი (ყველა საგარეჯოდან), ა. მოთიაშვილი, ბ. კულიევი (ორივე წითელწყაროდან), ო. გულისაშვილი (საგარეჯო), ვ. კუზნეცოვი, ვ. ქავთარაძე (ორივე წითელწყარო).

ი. ქაბილაშვილი

ლ ე ლ ო

№ 38 (1674)

პირველი გამოცდის პირველი შედეგები

საბჭოთა კავშირის ნაკრებს ხელბურთში (7:7) ძნელი გამოცდა ელოდა — ახლად შექმნილ გუნდს მონაწილეობა უნდა მიეღო მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებში და შემდეგ „ბუქარესტის თასის“ გათამაშებაში.

ერთთვიანი საწვრთნელი შეკრების პროგრამაში შედიოდა პირველი საერთაშორისო საკონტროლო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც მოსკოვის არმიელთა ცენტრალური სპორტული კლუბის დარბაზში შედგა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ამ შეხვედრაზე გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით — შებალკინი (მეკარე), ივახინი, ლებედევი, ცერცვაძე, კოსმინინი, მოროზოვი და ზილინოვი. პირველი გამოცდა ჩვენმა გუნდმა კარგად ჩაბარა და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 22:16.

მეორე დღეს გაიმართა განმეორებითი შეხვედრა და ისიც ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 18:16. მაგრამ ორი გამარჯვება ჯერ კიდევ არ იძლეოდა ჩვენი გუნდის სიძლიერის ნათელ სურათს. რუმინეთის ნაკრებთან მსოფლიო პირველობაზე პირველი შესარჩევი მატჩის დღემდე მცირე დრო იყო დარჩენილი და ნაკრები, მისი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა დროის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ცუდი ამინდის გამო სტუმრებმა 4 დღით დაიგვიანეს ჩამოსვლა და 5-ის ნაცვლად მატჩი 9 იანვარს გაიმართა.

გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: რუმინეთი—რედლი, ივანესკუ, ნოდა, ბოლგარუ, კოვაჩი და ტელმანი, საბჭოთა კავშირი — შებალკინი, ივახინი, კობზარი, ცერცვაძე, ეფრემოვი, ლებედევი და კოსმინინი, ეს მძიმე გამოცდა საბჭოთა ხელბურთელებმა წარმატებით ჩააბარეს. მართალია, ანგარიში 12:9 არ შეეფარდებოდა მატჩის მსვლელობას, ვინაიდან ჩვენს გუნდს შეეძლო თავისუფლად მოეგო მეტი განსხვავებით და მაშინ უზრუნველყოფილი გვექნებოდა ფინალში გასვლა, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი სიტყვა თქვა. ვერ გამოვიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რაც უფრო მკაფიოდ გამოიხატა განმეორებით მატჩში.

რუმინელთა დედაქალაქში ჩავედით 12 იანვარს, ჩვენს განკარგულებაში ორი დღე იყო. გადავწყვიტეთ ქალაქის, მისი ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. განსაკუთრებით მოგვწონა ქალაქის ახალი რაიონები თანამედროვე სტილზე აგებული სამ-ოთხ სართულიანი სახლებით. ამ რაიონის თითქმის ყოველი ქუჩა „მუსიკალურია“, იმდენად, რამდენადაც ქუჩებს კომპოზიტორების—პუჩინის, შოპენის, მოცარტის, ბახის, გლინკას, ჩაიკოვსკის და სხვათა სახელები აქვთ დარქმეული.

„...პირველი ვარჯიში ჩასვლის დღესვე ჩავატარეთ ცენტრალურ დარბაზში (იგი 5000-მდე მაყურებელს იტევს). რუმინელებს ფინალში გასვლისათვის სჭირდებოდათ მატჩის მოგება 4 ბურთის განსხვავებით და მათ შესძლეს კიდეც ეს, როგორც ჩანს, მოსკოვში განცდილი დამარცხებიდან მათ სათანადო დასკვნები გამოუტანიათ.

15 იანვარს ცენტრალური დარბაზის მისასვლელი ხალხით იყო გაჭედილი, მატჩის ნახვის შსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ ბილეთებს ვერ შოულობდნენ და გვთხოვდნენ სპორტულ ჩანთებს, რათა მათი დახმარებით ჩვენთან ერთად შესულიყვნენ დარბაზში.

მთელი თამაშის განმავლობაში ხალხი ფეხზე იდგა. უმრავლესობა პატარა ზარების რეკვით აღნიშნავდა თავიანთი გუნდის ყოველ წარმატებას. მათი აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ მაყურებელთა ყვირილისაგან ყურთასმენა აღარ გვქონდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი მაყურებელი, რომელნიც დაუღალავად დირიჟორობდნენ ხალხს.

ამჯერად გუნდებში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ცვლილებებს. აი ისიც: რუმინეთი — რედლი, ნოდა, ივანესკუ, გნატი, კოვაჩი, ტელმანი და მოზერი; სსრ კავშირი—შებალკინი, ივახინი, კობზარი, ეფრემოვი, ლებედევი, ზაიცევი და ცერცვაძე.

რუმინელებს შევთავაზეთ მაღალი ტემპი, რის შემდეგაც ანგარიში ჩვენს სასარგებლოთ იზრდებოდა, მე-17 წუთზე წინ ვიყავით — 4:2, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელიდან გავუშვით, რაშიც გარკვეული „ღვაწლი“ მიუძღვის იუგოსლაველ მსაჯს გლიგორიჩს, მან შეხვედრა ძალზე არაობიექტურად ჩაატარა (ჩვენს კარში დანიშნა ექვსი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა).

თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივა მასპინძელთა მხარეზე გადავიდა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 18:13 და მოიპოვეს გფრ-ში 12 ქვეყნის ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის საგზურები (რაგორც ვიცით, რუმინელებმა წარმატებით ჩაატარეს ფინალური ტურნირი და მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს).

ამის შემდეგ, 22-დან 28 იანვრამდე ქალაქ კლუჟში უნდა ჩატარებულიყო 4 ქვეყნის ხელბურთელთა (რუმინეთი, იუგოსლავია, სსრ კავშირი და უნგრეთი) შეჯიბრება „ბუქარესტის თასზე“, მანამდე ამხანაგური შეხვედრები გავმართეთ ქ. ბრაშოვში (მოვიგეთ 25:21) და თერგამორეში (მოვიგეთ — 37:19). ვეწვიეთ ბოლოს კლუჟს. შეჯიბრებაში რუმინეთის ნაკრები ორი გუნდი და ახალგაზრდული ნაკრები გამოდიოდა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ სხვა გუნდებიც. „ბუქარესტის თასი“ მოიპოვა რუმინეთის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ჩვენი გუნდი.

საბჭოთა ნაკრების პირველმა საერთაშორისო შეხვედრებმა ბევრი რამ გვასწავლა და ალბათ მომავალში აღარ განმეორდება წარსულის შეცდომები.

ჯ. ცერცვაძე,
სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი.



ბათუმში იმყოფება მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო გროსმაისტერი ასუჯრიან შაშში ვ. შჩეგოლევი, რომელიც თავის მწვრთნელ ნ. კურნოსოვთან ემზადება მატჩ-რევანშის სათამაშოდ მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ი. კუპერმანთან. ამას წინათ იგი ეწვია ბათუმის მე-20 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

შეხვედრის დასასრულს მსოფლიო ჩემპიონმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 21 დაფაზე 64-უჯრიან შაშში. სურათებზე თქვენ ხედავთ ამ საინტერესო სეანსის მსვლელობას. ვ. შჩეგოლევმა გაიმარჯვა 20 პარტიაში, მაგრამ მე-7 კლასელ ი. ტოჩიონოვთან ყაიმის მეტს ვერ მიაღწია.

სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ თ. სოლოვიოვამ მსოფლიო ჩემპიონს გადასცა სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის სიგელი და მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის.

ფოტო და ტექსტი პ. კებაბჩიანისა.

„დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი)

განვლილ კვირას თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ჰქონდათ მორიგი საკონტროლო მატჩი. ამჯერად მათი მოწინააღმდეგე იყო ტაშკენტის „პახტაკორი“.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: „პახტაკორი“ — კლიმოვი, ტაჯიროვი, მოტორინი, სუიუნოვი; ორლოვი, ბაირამოვი; მოროზოვი, სტადნიკი, კრასნიცკი, ტაზეტდინოვი, აბდურაიმოვი. „დინამო“ — კოტრიკაძე; ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა; ხუნდაძე, იამანიძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

ძლიერი ქარი, რომელიც არ შეწყვეტილა მთელი მატჩის განმავლობაში, საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს ბურთის დამუშავებაში, ტექნიკური ელემენტების შესრულებაში, შორ მანძილებზე გადაცემებისას სათანადო სიზუსტის დაცვაში და ა. შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში და საინტერესოდ მიმდინარეობდა.

„პახტაკორის“ მთავარი ძალა — ესაა თავდასხმის ცენტრალური სამეული — სტადნიკი, კრასნიცკი, ტაზეტდინოვი. ტაშკენტელთა შეამარბები მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელებია, რომლებიც ვრცელ ტერიტორიაზე მოქმედებენ, აქტიურად ეხმარებიან ნახევარდაცვას და სულ მცირე შესაძლებლობასაც იყენებენ, რათა კარში დარტყმის შესაძლებლობა შეუქმნან თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს კრასნიცკის. მართალია, ეს ერთფეროვანი ტაქტიკაა, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე იოლია, ვინაიდან კრასნიცკის საუკეთესოდ აქვს დამუშავებული გადამწყვეტი დარტყმა და მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება წამითაც კი. ამიტომ თორაძეს სრული დატვირთვით მოუხდა თამაში, რათა უვნებელყო ცენტრალური ზონა საშიში მეტოქის იერიშებისაგან.

დინამოელთა თავდასხმა ამ დღეს სრული შენადგენლობით თამაშობდა და აჩვენა კიდეც თავისი მაღალი კლასი, მაგრამ მარჯვენა ფრთზე ჯერ კიდევ არ შესულა საბრძოლო ფორმაში მელაშვილი და გარდა ამისა, ფორვარდები ხშირად ზედმეტად ატარებენ ბურთს, აგვიანებენ კარში დარტყმას, ერთობიან დრიბლინგით. მიუხედავად ამისა, კოლექტივმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თბილისელები დიდხანს ფლობდნენ ინიციატივას. 21-ე წუთზე ბარქაიამ ძლიერად დაარტყა კარში, ბურთს ზედ ხაზზე მიუსწრო მელაშვილმა და გახსნა ანგარიში. მცირე ხანს შემდეგ იამანიძემ კარგად გამოიყენა კალოევის გადაცემა და მეორე ბურთი გაიტანა—2:0.

მეორე ტაიმში მასპინძლები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, რაც ძირითადად ხორციელდებოდა მესხის სწრაფი გარღვევებით მარცხენა ფლანგიდან. სწორედ აქედან დაწყებული კომბინაცია დაამთავრა ბარქაიამ ოშვიათი სიზუსტის დარტყმით, ხოლო შემდეგ ღოღობერიძემ ასევე ოსტატურად გაიტანა კიდევ ერთი გოლი.

ანგარიშით 4:0 გაიმარჯვა „დინამომ“.

ბ. ქორიძე

ირანელი მოჭიდავეები მოსკოვში

გუშინ მოსკოვში, სპორტის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ირანის მოჭიდავეთა ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

საბჭოთა მოჭიდავეებს ირანელებთან ჩატარებული აქვთ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა, ასე მაგალითად, 1956 წელს ირანელი სპორტსმენები სტუმრად იყვნენ საბჭოთა კავშირში, ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებს. ორივე მატჩი დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 4:4. შემდეგ ჩვენი მოჭიდავეები ეწვივნენ სპასუხო ვიზიტით ირანს.

გუშინდელ შეხვედრაში გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: უმჩატეს წონაში საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა ვ. ლიტვინი. სტუმრების გუნდში გამოდიოდა ზოლტან კაზემი. მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ მ. შახოვი და 1956 წლის მსოფლიო თასის გათამაშების პრიზიორი ბაირამ კახან ჯაბანი. ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა გუნდში გამოვიდა ვ. რუბაშვილი. ირანელთა რიგებში იყო ქვეყნის ჩემპიონი ვავაფარდ ჰანიბი.

მსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ რ. ჯღამაძე და სანად ქერიმ მოჰამედ ალი. ქვესაშუალო წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონს გ. ნებიერიძეს ჰყავდა ძლიერი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონის იმანი ალი ჰაბიბის სახით. საშუალო წონაში საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა ა. აღაბეკიანი. მისი მოწინააღმდეგე იყო ირანის ორგზის ჩემპიონი მეჰტი-ზადე მანსური.

ყველაზე ძლიერი მოჭიდავე ირანის გუნდს ჰყავდა ქვემძიმე წონაში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ბ. გურევიჩს ბრძოლა მოუხდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის ტახტის წინააღმდეგ. მძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ა. მედვედი და ნური ჰუსეინი.

ამ მატჩის გარშემო საუბარი სპორტის დამსახურებულ ოსტატთან ვ. ბალავაძესთან იხ. შემდეგ ნომერში.

ძალოსანთა ახალი რეკორდები

თბილისში სამ დღეს გრძელდებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 30-ე საიუბილეო სპარტაკიადა ძალოსნობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს: ა. გრაჩინსკიმ, ფ. კაზარიანმა, ა. სურმანიძემ, პ. ფედენკომ, გ. გალოიანმა, გ. პეტროსიანმა, ს. მოკროვმა, მ. მინასიანმა. გუნდური პირველობა პირველ ჯგუფში მოიპოვეს სომხეთის ძალოსნებმა, ხოლო მეორე ჯგუფში — საქართველოს წარმომადგენლებმა.

შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესებულ იქნა რამდენიმე რეკორდი. ა. სურმანიძემ დაამყარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ახალი რეკორდი აპიმვაში — 105,5 კგ. გ. გალოიანმა სამჭიდის ჯამში დააგროვა 400 კგ, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, გადააჭარბა ოლქის რეკორდს 17,5 კგ, ხოლო საქართველოს რეკორდს 7,5 კგ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 4 ახალი რეკორდი დაამყარა მ. მინასიანმა.

ა. კავკასიძე

ლ ე ლ ო
მე-3 გვ. № 38 (1674)

ფეხბურთის ქრონიკა

ამ დღეებში შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

როგორც ცნობილია, ე. წ. XIV ჯგუფში შექმნილი იყო სამი ქვეჯგუფი, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს კოსტა-რიკის, მექსიკისა და ნიდერლანდების ვესტ-ინდოეთის გუნდებმა. მათს შორის ამჟამად მიმდინარეობს გათამაშება და გამარჯვებული მიიღებს ფინალში თამაშის უფლებას.

მექსიკისა და კოსტა-რიკის გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1 : 1. განმეორებით მატჩი, რომელიც სან-ხოსეში შედგა, გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა ანგარიშით 1 : 0. ამ გამარჯვებით კოსტა-რიკის გუნდმა რეალური შანსები მიიღო ფინალში გასასვლელად.

* * *

ვენაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ავსტრიის ჩემპიონს „რაპიდსა“ და შვეიცის ჩემპიონს „მალმეს“ შორის.

გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 2 : 0.

ე. წ. პროფესიული ლიგების ნაკრები გუნდების მატჩი შედგა გლაზგოში შოტლანდიასა და ინგლისს შორის.

მატჩი მოიგეს შოტლანდიელებმა — 3 : 2.

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში მოხდა საგრძნობი ცვლილებები. ზედიზედ მეორე დამარცხება განიცადა გათამაშების ლიდერმა „ინტერნაციონალემ“ (ამჟამად „პადუასთან“ და ისიც საკუთარ მინდორზე — 1 : 2), ხოლო „იუვენტუსმა“ დაამარცხა „ტორინო“ — 1 : 0.

„ინტერნაციონალეს“ ამჟამად აქვს 35 ქულა, ხოლო „იუვენტუსს“ — 34.

* * *

შედგა ინგლისის საფეხბურთო თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი „ლეისესტერ სიტესა“ და „შეფილდ იუნაიტედს“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ გუნდები ამჯერადაც 120 წუთს თამაშობდნენ, ისევე როგორც პირველ მატჩში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ნახევარფინალური მატჩი შედგება მესამედ.

* * *

ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. ჰოლანდიის ნაკრებმა როტერდამში მიიღო ბელგიის ძლიერი გუდნი და სასტიკი დამარცხება მიაყენა მას—6:2.

✦

კომისია კმაყოფილია

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო სიგნალები იმის შესახებ, რომ ჩილში არასაკმარისი ტემპებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ფეხბურთში 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. **ფიფა** იძულებული იყო ჩილში გაეგზავნა საგანგებო კომისია, რომელიც შეამოწმებდა ამ ხმების სიმართლეს და საერთოდ ჩილელთა საქმიანობას.

კომისიას ხელმძღვანელობს ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი ე. ტომენი.

კომისიამ დააფიქსირა სანტიაგოს მთავარი სტადიონი და საერთოდ კმაყოფილი დარჩა ჩატარებული სამუშაოებით. ტომენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების დასაწყისამდე ყველაფერი წესრიგში იქნება.

სპორტული ქრონიკა

ლაგოდეხში დამთავრდა „განთიადის“ რაისაბჭოს პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, რძის გადამამუშავებელი მთავარი ქარხნისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის მოჭადრაკეებმა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა გ. ღვინიევმა. მეორე ადგილზეა კ. ქუუტაშვილი, მესამეზე — ვ. ნადაშვილი.

ი. ნადაშვილი

* * *

თბილისში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა თბილისის პირველობა ჭადრაკში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მილიციის და მესაზღვრეთა სამმართველოს თანამშრომელთა შორის.

პირველობა დამთავრდა ჩხიკვაძისა და დობორჯგინიძის გამარჯვებით, რომლებმაც დააგროვეს 6,5 ქულა თვითეულმა.

ა. დონიძე

რედაქტორი ი. უგულავა

ლოგიკა

ლანჩხუთელ სპორტის მოყვარულს ა. იმნაიშვილს აინტერესებს როგორი იყო საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მიერ მოპოვებული მედლების შეფარდება სამ უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე.

XV ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 22 ოქროს, 19 ვერცხლისა და 19 ბრინჯაოს მედალი, ხოლო აშშ-ს სპორტსმენებმა — 40 ოქროს, 19 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი. საბოლოო ჯამში ორივე ქვეყანას აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 494.

XVI თამაშებზე მედლების რაოდენობაში შეფარდება შეიცვალა საბჭოთა სპორტსმენთა სასარგებლოდ. მათ მოიპოვეს 37 ოქროს, 29 ვერცხლისა და 32 ბრინჯაოს მედალი და საერთო არაოფიციალურ ჩათვლაში 624,5 ქულა. ამერიკელებს ჰქონდათ 32 ოქროს, 25 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი.

XVII თამაშებზე ასეთი სურათია: საბჭოთა კავშირი: 43 ოქრო, 29 ვერცხლი, 31 ბრინჯაო, 683 ქულა, I ადგილი. აშშ: 34 ოქრო, 21 ვერცხლი, 16 ბრინჯაო. 468.5 ქულა. II ადგილი.

✦

დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. კაჭახიძე გვეკითხება: „ვინ არის მსოფლიოში უძლიერესი 10000 მეტრზე რბენაში?“

უძლიერესი სტაიერი 10.000 მეტრზე რბენაში ამჟამად არის ოლიმპიური ჩემპიონი პ. ბოლოტნიკოვი. მას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე.

* * *

გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტებს გ. ფაციას, ა. ცაავასა და ჯ. გადელიას აინტერესებთ: „დამტკიცებულია თუ არა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად ვ. ბრუმელის შედეგი 225-სმ?“.

ვ. ბრუმელის ეს შედეგი მსოფლიო მიღწევად დახურული დარბაზის პირობებისათვის ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული. იგი უნდა დაამტკიცოს მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა სხდომამ.

* * *

გ. მაციკიძე (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) გვეკითხება: „კულტივირებულია თუ არა თბილისში რეგბი“?.

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობამ ახლახან მოიკიდა ფეხი. გუნდები შექმნეს თბილისში და გამართეს კიდეც საწვრთნელი შეხვედრები.

* * *

ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანის სკოლის მოსწავლეები ა. კრიტიული და ა. გოჩილაიძე გვეკითხებიან რამდენი წლისაა მეკარე ლ. იაშინი და შეცვლის თუ არა ნაკრებში ს. კოტრიკაძე ლ. იაშინს.

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია: იაშინი ამჟამად 32 წლისაა. რაც შეეხება მეორე საკითხს, შეცვლის თუ არა ს. კოტრიკაძე ლ. იაშინს, ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებენ როგორც თვით ლ. იაშინი, ისე ს. კოტრიკაძეც.

ეკიპაჟის შემადგენლობიდან დაიღუპა 11 კაცი“.

ეს იყო პირველი ოფიციალური ცნობა, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურნენ მთელი მსოფლიოს გაზეთები. განუწყვეტლივ იბეჭდებოდა ცნობები ბრიუსელიდან, პრესა ათავსებდა დაღუპულ სპორტსმენთა სურათებს, მათს ბიოგრაფიულ ცნობებს.

1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში და ყინულზე ცეკვაში უნდა დაწყებულიყო 22 თებერვალს პრაღაში, მაგრამ იგი არ ჩატარდა. მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა გ. ჰესლერმა ტელეგრაფით მიმართა ცალკეული ქვეყნების ეროვნულ კომიტეტებს, საიდანაც თითქმის ერთხმად მოვიდა პასუხი, რომ გლოვის ნიშნად, სოლიდარობის გამოსახატავად არ ჩატარდეს ის დიდი შეჯიბრება, სადაც მიემგზავრებოდნენ ამერიკელი სპორტსმენები.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა დაუყოვნებლივ დაადგინა ამერიკელ ფიგურისტთა დაღუპვის გამო არ ჩატარდეს 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალსა და ყინულზე ცეკვაში.

აი ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ამ კატასტროფის შესახებ. როგორც უცხოეთის გაზეთებში წერენ, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს ავარიის მიზეზებისა და დამნაშავეთა გამორკვევისათვის.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაქვეყნებთ უცხოეთის ჟურნალებიდან ამოღებულ სურათებს. **მარცხნივ:** ამერიკელი ფიგურისტები ავიაკომპანია საბენას „ბოინგ-707“ თვითმფრინავთან გამგზავრების წინ. **მარჯვნივ:** აშშ-ს საუკეთესო ფიგურისტები ლაურენს ოუენი, დიდი რიჩარდსი და მერიბელ ოუენი ერთ-ერთი შეჯიბრების შემდეგ.

30 მარტი—2 აპრილი

ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7)

ჩემპიონატი

აკრობატიკა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში საქართველოს სსრ მოზარდ ტანმოვარჯიშეთა VII პირად-გუნდური შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ თასზე.

შეჯიბრების დასაწყისი დილის 9 საათზე.

დღეს

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა

„კაირატი“ (ალმა-ატა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)

დასაწ. 17 ს. 15 წ.

კალათბურთის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ საკავშირო კატეგორიის მსაჯს კალათბურთში ე. აბაიშვილს მისი ძმის

შოთა მინას-ძე აბაიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 **საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.** უე 05493